ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა, ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა, სუნიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად. მე ვეუბნები დიდ ქალბატონს, მშვენიერ ნინოს, ნუ მაგრძობინებ თავს ძვირფასო უთვისტომობით, გთხოვ, ამ ცეკვაში შეიტანო რეკონსტრუქცია, რგოლად შეჰკრი ეგ სიმრავლე თქვენი წყვილების. დე იციბრუტონ ხოლომე იმათ ქარის სისწრაფით, ეს ციბრუტები ჩვენო ნინოვ, ჩვენო ბრძენქალო, ხომ აღიარებს თქვენი ცეკვის მამრულ ხასიათს, ხო, დიახ, იგი მასკულიზმ არის გენებით, და კიდევ, კიდევ მდებარეულია, ფემინინუმი, ო, როგორ მინდა ამ ცეკვაში წრედი შეიკრას, სადაც ქარების სტვენაა და მგლების ყმუილი, სადაც არნივის ირაო და ფერხულებია. ამ ორთაბრძოლა-ჭიდილებზე მედისწერასთან, გამოგვადგება თქვენ სენია ტურაბელიძის, ნაბადის ლოგო, ლახტი ჰქვია ამას ქართულად, სად ალაგია ქამრის ნაცვლად ბასრი ყამები და სხლტომებია, დიახაც, მათ მოსახელთებლად. აქ გენეტიკურ საწყისების დაზუსტებაა, რაიც ცეკვისას, ციბრუტისას გადის ეთერში და მახსოვრობის ნიშნით აღძრავს ჩვენს რეალობებს. მოხრილობაა, შენს მეორე კოლეგას ახლავს, დიდებულ კესოს, მეგვირგვინ ქურდაძის გვარით, ყმანელიობისას დავითაშელს ვისაც უხმობდნენ, ახსოვს პარიზი, ტოკიო და ლონდონი, რიო, ახსოვს რომი და ცეცხლის წვიმა პომპეის ფრესკის, მალე ჩვენთანაც ის ტორნადოი დასადგურდება, ალესილ ნიჩბის ქარიშხლებით და სივილებით, აქაც იგივე ლავლაგია შუარუსთველზე, ორკაპა ენის ლავლაგიადრაკონისბრი. ჰოდა, ეს ჩვენი კესო დიდი ქვასვეტის ახლოს, ქართველ ჭაბუკებს, ჰო ჭაბუკებს გადაფარება, ოთხჯერ გაუვლის იმას ტანში მხუთავი ტყვია, მაგრამ ვერაფერით აღასრულებს მროკავის სხეულს, თუმცა კი, თუმცა თაღის მსგავსად მომშვილდავს ძალუმ, რომ იქ მორწმუნეს ქედმოდრეკით შეესვლებოდეს.

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა, ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა, სუნიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად. ა, ხედავ რამდენს, რამდენ რამეს გადავწედი უცებ, ძველებს გაფიცებ, მერე გვანცას, უცნობებს ჩემთვის, და კიდევ, კიდევ მთავრებულეს კავკასიონის, რამაც შექართა, რამაც შექრა ჩვენი სულეები, რომ შეიტანო ცვლილებები, გარდასახვები, რომ შეიტანო შენს ცეკვაში რეკონსტრუქცია, წყვილებს შთაბერო ქურუმული გასაგისები, იყოს ქროლები თქვენებური, ოღონდაც რვასი, რვასი, დიახაც, მუდმივად დედაბუნების, ის შაირია, რვაფოთლაა ფესტოს დისკოდან, ის ლოტოსია ანგართული ბაჰაის ტაძრად, დიახ, მიეცი შინაგანი სწრაფვა წრისაკენ, ასე შეჰკარი ლასობედ ეს სასწაული, ვერეც ხომ იგი სრბოლაშია სინდიის დარად, ვით ნინილები გაფანტული ქორის მოქროლებით. შეჰკარი-მეთქი, ჰო, შეჰკარი მოქნილ მარყუჯად, ამ დაუდევარ კაცისათვის შეჰკარი იგი, ყელზე მოვირგო და უკვდავად გადავანაპირდე.

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა, ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა, სუნიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად. ეს ყისმათია ქართველ კაცის, საქართველოსი, ეს ბედისწერის ფარგლებია სულში გაჩრილი, ეს გენეტიკურ მახსოვრობის ინსტრუმენტია, ბრუნვა-ფერხულით, ხორუმებით და ციბრუტებით, ეგი ჩინური კედელია გობის ზეგანზე, ერთადერთი რომ ირეკლება მთვარის სარკლიდან, რომ მიკამკამებს მუხადიდის სიმყუდროვეში, პირში კუდგარით, ოქროს ვერძის სადარაჯოზე. ა, იმ ცეკვაში მინდა აღსდგეს მეფის მხატვარი, ხარაჩიდან რომ დაუცურდა დიდ კონსტანტინეს, ანდა ვლადიმერ ალფენიძეს, ივერ ეგრისელს ჟინი ანთართან რომ არკინებს პირველობისთვის, იმ ოქროს ვერძთა მწყემს მზეჭაბუკ ოტობაიას, ღმერთს რომ დაჯაბნის ენგურის და ზღვის გაჩერებით.

მარტო მიმქონდა, დედოფალო, დღემდე უღელი, ახლა ეს ცეკვაც შემეშველა ტოლის დამდებად, ან ვინ, რომელი დააოკებს იმის ბორიალს, ბასკმა პოეტმა, ეჩიპარემ რომ დაიქუხა: ეუსკარაო, ბასკის ენავ, გადიო ხალხში, გადი ქუჩაში, მოედანზე, სულზე გადი! აი, იმგვარად, სანიერზე ვივლით მარადის!

ბური ოტობაია
30. 12. 2021 წ.

საქართველოს ისტორია

ამ ისტორიულ ფაქტებს შეგნებულად უპასუხენ სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტ ახალგაზრდობას

(გამოყენებული მასალა: «საქართველოს ისტორია», გამოცხადება «თბილისი», 1992 წ.; საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში ტომი III)

პეტრე I-მა თურქებს წაართვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დონის შესართავთან — აზოვის ციხე, საიდანაც თურქები რუსეთის სამხრეთ სამფლობელოებს და კავკასიას ემუქრებოდნენ, ამასთან აზოვის ზღვაზე რუსეთის ფლოტს ჩაუყარა საფუძველი. ამრიგად, XVII ს. მიწურულისათვის რუსეთის ხელში იყო ვოლგისა და დონის ქვემო წელი. ვინც მათ ფლობდა, ჩრდ. კავკასიაში პოლიტიკური პეგემონი ხდებოდა. ამიერიდან რუსეთის წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალა — კავკასია და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი.

XVIII ს. II ნახევარში რუსეთის ინტერესები კავკასიაში სადღეო კიდევ უფრო გაიზარდა. რუსეთის მმართველ წრეებს კარგად ესმოდათ ქვეყნისათვის ამ რეგიონის მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ რუსეთს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ კავკასიაში, მისი მიზანი იყო შავ ზღვაზე გასვლა, შუა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთზე გამავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება და ეკონომიკურ-პოლიტიკური გაბატონება ახლო აღმოსავლეთში.

1763 წ. რუსებმა თერგის მარცხენა ნაპირზე ციხე-ქალაქი მოზდოკი დააარსეს და აქ კახეთს გარნიზონი ჩააყენეს. 1783 წლის აპრილში რუსეთმა ყირიმის სახანო შეიერთა, რამაც საგრძობლად შეასუსტა თურქეთის პოზიციები კავკასიაში.

იმავლეის ივლისში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა და ამ ქვეყანასთან სათანადო კავშირ-ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა დაიწყო. მის დასაცავად, თერგის ზემო წელზე, რუსებმა რამდენიმე სიმაგრე ააგეს, მათ შორის ვლადიკავკაზი (1784წ.), რომელსაც გასაღების როლი უნდა შეესრულებინა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. თერგის ზემო წელზე რუსული სიმაგრეების აგებით, ფაქტობრივად, ოსეთი რუსეთის მფარველობაში აღმოჩნდა.

XVIII ს. ბოლოსათვის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა მთელი ჩრდილოეთი შავი ზღვისპირეთი მდინარე დნესტრის შესართავიდან ტამანის ნ/კ-მდე, მათ შორის ყირიმი და ყუბანისპირეთის სტეპები.

XVIII ს. მიწურულს თერგისა და შავი ზღვისპირეთის სამხედრო-საპოლიტიკო მდგომარეობის შეცვლა და აზოვის ზღვაზე რუსეთის ფლოტის ჩაყარა საფუძველი. ამრიგად, XVII ს. მიწურულისათვის რუსეთის ხელში იყო ვოლგისა და დონის ქვემო წელი. ვინც მათ ფლობდა, ჩრდ. კავკასიაში პოლიტიკური პეგემონი ხდებოდა. ამიერიდან რუსეთის წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალა — კავკასია და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი.


კახეთის ხაზს ჰქონდა თავდაცვითი დანიშნულება — რუსეთის სამფლობელოების დაცვა კავკასიაში მუსლიმ მთიანეთის თავდასხმებისაგან.

1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამ შეერთებით რუსეთმა ხელში ჩაიგდო მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი, საიდანაც ახლო აღმოსავლეთში გაბატონების პერსპექტივა კიდევ უფრო რეალური ჩანდა.

აღმ. საქართველოს შეერთების შემდეგ დღის წესრიგში დადგა დას. საქართველოს პოლიტიკური ერთეულების შეერთების საკითხი. დას. საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა აშკარად გამოჩნდა უკვე 1802 წელს, როცა საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ პ. ციციანოვს (პაულე დიმიტრის ძე ციციშვილი) დაევა ლეონტი მთავრის მარა დას. საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან მიერთებისა და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე განმტკიცებისათვის.

აქ გაბატონებას რუსეთი ბოლომდე და დარდნის სრულტეხილად გზის გაკვალვას უკავშირებდა. რუსეთის საგარეო უწყების ყოფილი უფროსი გრაფი თ. როსტოკინი პ. ციციანოვს წერდა: „შენ თუ წარმატებას მიაღწევ რუსეთის ქვეშევრდომად იმერეთის შემოყვანაში, ამით არსებით და მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტან როგორც რუსეთს, ისე საქართველოს... ეს გზა შეიძლება უფრო საიმედოც კი იქნეს, ვიდრე თავრიზი (ყირიმი) გაკვალული გზა ცარგარაისკენ“ (კონსტანტინოპოლი).

გარკვეული მიზეზების გამო, რუსეთის ხელისუფლება დას. საქართველოში ფრთხილად მოქმედებდა და აღმ. საქართველოს განსხვავებით ქვეყნის უშუალოდ შეერთებისათვის თავს იკავებდა. მაგრამ პ. ციციანოვის მეცადინეობით მოხერხდა დას. საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან ფაქტობრივი მიერთება. 1803 წ. დეკემბერში, სამეგრელოს სამთავრო შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეზღუდ-



XVIII ს. მიწურულს თერგისა და შავი ზღვისპირეთის სამხედრო-საპოლიტიკო მდგომარეობის შეცვლა და აზოვის ზღვაზე რუსეთის ფლოტის ჩაყარა საფუძველი. ამრიგად, XVII ს. მიწურულისათვის რუსეთის ხელში იყო ვოლგისა და დონის ქვემო წელი. ვინც მათ ფლობდა, ჩრდ. კავკასიაში პოლიტიკური პეგემონი ხდებოდა. ამიერიდან რუსეთის წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალა — კავკასია და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი.

ული ავტონომიის უფლებით. სამეგრელოს სამთავროს შეერთებით რუსეთი გზას იკავებდა შავი ზღვის სანაპიროსაკენ. 1804 წლის 25 აპრილს, რუსეთის ადმინისტრაციის წინაშე წარმოადგინა მთავარი დოკუმენტი იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810) იძულებული გახდა რუსეთის მთავრობის მიერ ნაკარნახევი სამფარველო პირობები მიეღო. 25 აპრილის ულანაუსის სამეფარველო ხელშეკრულება გუბიის სამთავროზეც ვრცელდებოდა, რადგან გურია იმერეთის სამეფოს შემადგენელ სამთავროდ ცხადდებოდა.

რუსეთის ხელისუფლებას განსაკუთრებით აინტერესებდა შავი ზღვის კავკასიის სანაპირო. რუსეთთან შეერთებამდე საქართველო ამ რეგიონში მხოლოდ მცირე მონაკვეთს ფლობდა — მდ. ენგურის მარცხენა ნაპირიდან, (ანაკლიის ციხიდან) რიონის შესართავამდე, ერთადერთი სიმაგრით — ყულევი. შავი ზღვის ვრცელი სანაპირო ზოლი კი, მთლიანად თურქეთის მფლობელობაში იყო. დანაშაული ანაპის ციხიდან მდ. ენგურის შესარ-

თავამდე და რიონის მარცხენა ნაპირიდან. მათ შორის სოხუმ-კალეს ციხე, ისგაურის, ანაკლიის, ფოთის, ბათუმისა და გონიოს ციხეები.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარონი ბუდბერგი კავკასიის მთავარმართებელსა და კავკასიის ჯარების სარგებლობის მიზნით რუსეთის იმპერიის სამთავროს მიმართდა, რომლებიც თავი შესაფარს პოლიტოპენ ანაპისა და სხვა თურქულ ციხეებში“.

ამ მიზნის მიღწევა შეიძლებოდა დას. საქართველოში განმტკიცებით, მაგრამ რუსეთის პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას აქ იმერეთის მეფე სოლომონ II უშლიდა ხელს. 1810 წ. თებერვალში რუსეთის ხელისუფლებ-

საზღვაო დესანტმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა სოხუმში მყოფი თურქთა გარნიზონი და ციხე აიღო. იმავე წლის ოქტომბერში გიორგის შარვაშიძეს საზღვიოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები, რითაც გაფორმდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აფხაზეთის სამთავროს ავტონომიური უფლებით შესვლა. 1810 წ. 6 აგვისტოს კავკასიის მთავარმართებელი, გენერალი ა. ტორმასოვი (1809-1811) აღფრთოვანებით ულოცავდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ნ. რუმიანცევს „სოხუმის ციხის აღებას, რომელიც ბატონობს მთელ აფხაზ ხალხზე“.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის დროისათვის, აფხაზეთის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ბზიფზე გადიოდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გაგრის ვინრებიდან მდ. ბზიფამდე ჯიქებს ჰქონდათ მიტაცებული. სამხრეთ-აღმოსავლეთით მისი საზღვარი მდ. ლალიძგაზე გადიოდა, სადაც მას სამეგრელოს სამთავრო ესაზღვრებოდა; დასავლეთით — შავი ზღვა ეკვროდა, ხოლო ჩრდილოეთით საზღვარი ნომინალურად კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა.

იმავლე 1810 წელს, აფხაზეთის მთავრის გაგლეხითა და სამეგრელოს დედოფლის წინა დადიანის დიდი მცდელობით, ჯიქების ცანთა თემის თავადი ლევან ცანუბაია (ცანბა) თავისი ქვეშევრდომებით (500 ოჯახით), რუსეთის მფარველობაში შევიდა და აფხაზეთის მთავარზე თავისი დამოკიდებულების ნიშნად მას მძევლები მისცა.

აფხაზეთის თურქთაგან განთავისუფლების და სოხუმის ციხეში რუსეთის სამხედრო ნაწილების ჩადგომის მიუხედავად მოსახლეობის დიდი ნაწილი არათუ რუსეთის, არამედ აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებასაც არ ცნობდა. მთავრის ხელისუფლება სუსტი იყო და ის მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. რუსეთის სარდლობას, აფხაზეთის მთავრის არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად ვერ გადაეცემა ქვეყნის ხილრემში შესვლა და ურჩი მთიანი მხარეების — ფსხუ, ნებელდა, დალი, — დამორჩილება. ამ პერიოდში რუსეთი ცდილობდა განმტკიცებულიყო შავი ზღვის სანაპიროზე და, ფაქტობრივად, ქვეყნის მართვაში არ ერეოდა. ამასთან, აფხაზეთში არსებობდა მძლავრი პროთურქული ბანაკი, რომელსაც მთავრის ძმა ასლანბეი შარვაშიძე ედგა სათავეში. ამ უკანასკნელს ხალხში მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰყავდა ანტირუსულად განწყობილი მუსლიმი ძალების სახით.

XIX ს. დასაწყისში რუსეთის პოზიციები კავკასიაში ჯერ კიდევ სუსტი იყო. რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში გააფრთხილებით ეწინააღმდეგებოდნენ თურქეთი და ირანი, რომელთაც ეს მხარე საკუთარი გაგლეხის სფეროებად ჰქონდათ დაყოფილი. ამასთან, თურქეთსა და ირანს რუსეთის წინააღმდეგ აქებდნენ ინგლისის საფრანგეთი, რომელთაც არ სურდათ რუსეთის გაძლიერება და მისი კავკასიაში გაბატონება, ისინი არაპირდაპირი გზით თავად ცდილობდნენ ამ რეგიონში გავლენის მოუპოვებას.

1804-1813 წწ. ირანთან ომში გამარჯვებამ მნიშვნელოვან როლს შეასრულა.

სამხართველოს ისტორია

ამ ისტორიულ ფაქტებს შეგნებულად უგადავინ სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტ ახალგაზრდობას

89-9 გვერდიდან

ნად განამტკიცა რუსეთის პოზიციები ამიერკავკასიაში. რუსეთს შეუერთდა განჯის, ყარაბაღის, შაქის, დერბენტის, ყუბის, ბაქოს, თალიშის სახანოები; ირანმა ცნო დაღესტანი და საქართველო რუსეთის შემადგენლობაში. ამასთან, რუსეთმა მიიღო კასპიის ზღვაზე სავაჭრო ნაოსნობისა და სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება.

რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წწ. ომში გამარჯვების შედეგად კი, 1812 წ. ბუქარესტის ზავით, რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის სანაპირო მდ. ბზიფიდან მდ. ჩოლოქამდე. ოსმალეთმა რუსეთის შემადგენლობაში ცნო სამეგრელო, იმერეთი, გურია და აფხაზეთი, როგორც ნებაყოფლობით შეერთებული ქვეყნები, თუმცა თურქეთი ითხოვდა რუსეთს დაებრუნებინა მისთვის იარაღის ძალით დაპყრობილი ციხეები: ანაპა, ახალქალაქი და ფოთი.

თურქეთი არც სოხუმს ცნობდა რუსეთის შემადგენლობაში, როგორც იარაღით დაპყრობილს, თუმცა რუსეთის დიპლომატია ხაზს უსვამდა, რომ სოხუმი აფხაზეთის შემადგენლობაში მყოფი ციხე-ქალაქი იყო, ხოლო აფხაზეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს.

ბუქარესტის ზავმა მნიშვნელოვნად განამტკიცა რუსეთის სტრატეგიული პოზიციები და პოლიტიკური გავლენა კავკასიაში. ოსმალეთს არ სურდა შერიგებოდა თავისი კავკასიური სამფლობელოების დაკარგვას და ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერით ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას ცდილობდა იმ წინაშე, რომელიც კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის სამფლობელოების გამიჯვნის საკითხს ეხებოდა. ინგლისი ყოველმხრივ ცდილობდა ხელ შეეშალა რუსეთის დამკვიდრებისათვის შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე და ყოველნაირად მხარს უჭერდა თურქეთის მისწრაფებებს ძირძველი ქართული მიწების თურქებისთვის გადაცემას.

ირანთან და ოსმალეთ-ევროპულ კოალიციასთან ზავების შემდეგ რუსეთმა მათი დასაყრდენი დაუმორჩილებელი მთიელი მუსლიმებით დასახლებული კავკასიური სამფლობელოების შემომტკიცებას მიაპყრო მთელი ყურადღება. დღის წესრიგში დადგა ყუბანი-თერგის „საკორდონო ხაზის“ სამხრეთით მდებარე მინა-წყლის დაპყრობა. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდებოდა, მანამდე რუსეთის მტრებს კავკასიაში დასაყრდენი ყოველთვის ექნებოდათ. ამიტომ ნაპოლეონთან საომარი კამპანიის დამთავრებისთანავე რუსეთი ჩრდილოკავკასიის საბოლოო დამორჩილებისთვის მზადებას შეუდგა.

1815 წელს ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარის ნაწილებისაგან ცალკე ქარ-

თული კორპუსი შეიქმნა. 1816 წ. კავკასიის მთავარმართებლად და ქართული კორპუსის სარდლად გენერალი ა. პ. ერმოლოვი (1816-1827) დაინიშნა.

ერმოლოვი თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩრდ. კავკასიელ მუსლიმთა წინააღმდეგ ცალკეულ სადამსჯელო ექსპედიციებს ატარებდნენ, ჩერნეთისა და მთიანი დაღესტნის სიღრმეში გეგმაზომიერ შეტევაზე გადავიდა. 1817 წელს რუსეთის სარდლობამ კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა მდ. თერგიდან მდ. სუნჯაზე გადაიტანა. ეს ფაქტი მთიელთა ტერიტორიების სიღრმეში რუსების გეგმაზომიერ წინსვლის დაწყების მომასწავებელი გახდა. რუსები აუქმებდნენ მთიელთა აულებს, კავადნენ ტყეებს, გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედნენ მთების სიღრმეში.

მთიან დაღესტანსა და ჩერნეთში ანტირუსული წინააღმდეგობა ისლამის დროშით წარმართა. მუსლიმთა სასულიერო წრემ მთიელთა გაერთიანებისათვის მიუზღვიდა რელიგიური სწავლება გამოიყენა, რომელიც გადაგებდა ანაზავათს — საღვთო ომს „ურჯულ“ რუსებთან. პირველი შეიარაღებული გამოსვლა მიუზღვიდა წინააღმდეგობით 1824 წელს მოხდა. ეს იყო ჩერნეთის აჯანყება.

იმის გამო, რომ დასავლეთ კავკასიის მთიელები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ამყარებდნენ კომუნიკაციას მოკავშირეებთან (თურქეთი და ინგლისი სწორედ ამ მიმართულებიდან ამარაგებდნენ იარაღითა და ტყვია-წამლით კავკასიელ მუსლიმებს) რუსეთის სარდლობამ ყურადღება ამ კუთხითაც გაამახვილა. აფხაზეთა 1821 და 1824 წლების ანტირუსული გამოსვლების დროს, თურქეთი შეეცადა ასლანბეი შარვაშიძის მეთაურობით კონტროლი დაემყარებინა აფხაზეთზე, მაგრამ რუსეთმა აფხაზეთა აჯანყებები სასტიკად ჩაახშო. ამის შემდეგ რუსეთი აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრებას შეეცადა. აფხაზეთის დაუფლება საშუალებას მისცემდა რუსეთს მჭიდროდ მიასახლებოდა დას. კავკასიის მთის ტომებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფლობდნენ. აფხაზეთში რუსების მფლობელობაში ფაქტობრივად მხოლოდ სოხუმი ციხე იყო, სადაც მათი გარნიზონი იდგა. მის გალავანს მიღმა კი რუს ჯარისკაცებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე საფრთხე ემუქრებოდათ.

კავკასიის რუსული ადმინისტრაცია სოხუმში ჩაყენებული ჯარის მეთაურობით კონტროლს უწევდა მთავრის ხელი-სუფლებას და მკაცრი ღონისძიებებით ცდილობდა აფხაზეთის დამორჩილებას. აფხაზეთის მთავრისა და რუსეთის პოლიტიკური ბატონობის სისუსტე აფხაზეთში იმაშიც ჩანდა, რომ ქვეყანა ხშირად განიცდიდა ჯიქების, უბიხებისა და სხვა კავკასიელი მუსლიმი ტომების თავდ-



ირანთან და ოსმალეთ-ევროპულ კოალიციასთან ზავების შედეგად რუსეთმა მთი დასაყრდენი დაუმორჩილებელი მთიელი მუსლიმებით დასახლებული კავკასიური სამფლობელოების დაკარგვას მიაპყრო მთელი ყურადღება. დღის წესრიგში დადგა ყუბანი-თერგის «საკორდონო ხაზის» სამხრეთით მდებარე მინა-წყლის დაპყრობა. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდებოდა, მანამდე რუსეთის მტრებს კავკასიაში დასაყრდენი ყოველთვის ექნებოდათ. ამიტომ ნაპოლეონთან საომარი კამპანიის დამთავრებისთანავე რუსეთი ჩრდილოკავკასიის საბოლოო დამორჩილებისთვის მზადებას შეუდგა

ასხმებს, რომლებიც ყოველწლიურად, მთებით, ან შავი ზღვის სანაპირო ზოლით გადმოდიოდნენ მდ. ბზიფზე, იჭრებოდნენ აფხაზეთში, ძარცვავდნენ სოფლებს, მიერეკებოდნენ საქონელს და ტყვეებს. მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა მარბიელი ლაშქრობები ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა, მაინც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყანას. 1825 წ. ზაფხულში უბიხების ათასკაციანი რაზმი საჰაერო ძალით ადაგვას ძე ბერზევის მეთაურობით მთის ბილიკებით აფხაზეთში გადმოვიდა, მაგრამ მწყემსებმა შენიშნეს და ხალხს შეატყობინეს. აფხაზეთმა უბიხებს უკანდასახევი გზები მოუჭრეს და მთლიანად ამოწვეტიეს. მათი წინამძღოლიც შეტაკებისას დაიღუპა. ამის შემდეგ უბიხები თავრებისთანავე რუსეთ-თურქეთის ახალი ომი (1828-1829 წწ.) დაიწყო. ამ ომში რუსეთის გამარჯვებამ საბოლოოდ გადაწყვიტა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საკითხი. ადრინაპოლის ზავით (1829 წ. 14 სექტემბერი) რუსეთის

რათა ბოლო მოეღებოდა ჯიქებისა და უბიხების თავდასხმებს, ამასთან შერვაშიძე მისი პირადი დაცვისათვის რაზმის გამოგზავნასაც ითხოვდა.

XIX ს. 20-იან წლებში რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კავკასიაში. 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომში გამარჯვებამ რუსეთს აღმოსავლეთ ამიერკავკასია საბოლოოდ მოუპოვა. რუსეთის წარმატებამ, მისმა გაძლიერებამ აღმოსავლეთში შეაშფოთა ინგლისი, რომელიც ცდილობდა ირანი ძლიერ ბუფერულ სახელმწიფოდ გადაეტყობა და მისი საშუალებით ჩაეყვანა რუსეთისათვის ინდოეთისაკენ გზა. ამასთან „ნილიანი ალბინი“ ყოველდღის ხმარობდა, რათა მოელოდა რუსეთის ბატონობა კავკასიაში. ირანთან ომის დამთავრებისთანავე რუსეთ-თურქეთის ახალი ომი (1828-1829 წწ.) დაიწყო. ამ ომში რუსეთის გამარჯვებამ საბოლოოდ გადაწყვიტა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საკითხი. ადრინაპოლის ზავით (1829 წ. 14 სექტემბერი) რუსეთის

ლი შექონდა. სანამ რუსეთი ჩრდ. კავკასიას, მათ შორის, ყუბანის მხარეს არ დაიპყრობდა, მისი ბატონობა სამხრეთ კავკასიაში მტკიცე ვერ იქნებოდა. ამიტომ რუსეთი ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ზრუნვას შეუდგა. როცა ნიკოლოზ I კავკასიის მთავარმართებელსა და ჯარების სარდალს ი. პასკევიჩს (1827-1831) რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებას ულცავდა, წერდა: „...КОНЧИМ ТАКИМ ОБРАЗОМ, ОДНО СЛАВНОЕ ДЕЛО, ПРЕДСТОИТ ВАМ ДРУГОЕ, В МОИХ ГЛАЗАХ СТОЛЬ ЖЕ СЛАВНОЕ, А В РАССУЖДЕНИИ ПРЯМЫХ ПОЛЬЗ ГОРАЗДО ВАЖНЕЙШЕЕ — УСМИРЕНИЕ НАВСЕГДА ГОРСКИХ НАРОДОВ ИЛИ ИСТРЕБЛЕНИЕ НЕПОКОРНЫХ“.

ირანთან და თურქეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ჯარებმა გააქტიურეს მოქმედება ჩრდ. კავკასიაში, მათ შორის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ნიკოლოზ I-ის დირექტივის რეალიზების მიზნით ი. პასკევიჩმა შეიმუშავა კავკასიის მთის ხალხების სწრაფი დამორჩილების გეგმა, რომელიც იმპერატორმა 1829 წ. ოქტომბერში დაამტკიცა.

ამ გეგმის რეალიზაციისათვის შეიქმნა „აფხაზეთის ექსპედიცია“, რომლის მიზანი იყო სოხუმიდან ანაპამდე სანაპირო ზოლის დაკავება, გამაგრებული სანაპირო ხაზის შექმნა და სიმაგრეებს შორის სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა.

1830 წ. 8 ივლისს რუსთა დესანტი სოხუმიდან ზღვით გაგრაში გადავიდა. ამ ცნობის მიღების შემდეგ აფხაზეთის ექსპედიცია, რომლის უმთავრეს მეთაურად დანიშნული იყო გენერალი გეგე, სოხუმიდან გავიდა და 16 ივლისს ბომბორა დაიკავა. აქვე, ექსპედიციას ლიხნიდან აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე შეუერთდა. შემდეგ ექსპედიციამ წინსვლა განაგრძო და 19 ივლისს ბიჭვინთა დაიკავა. მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, გაგრის ჩრდილო-დასავლეთით რუსულ-აფხაზური ჯარის წინსვლა შეფერხდა ჯიქებისა და უბიხების მედგარი წინააღმდეგობის გამო. „აფხაზეთის ექსპედიციის“ მოქმედების პარალელურად ი. პასკევიჩმა მდ. ყუბანის გადასახე და შავი ზღვის რამდენიმე აული განადაგურა, ამასთან მდ. ყუბანზე რამდენიმე სიმაგრე ააგო. ამდენად, სრულად ვერ იქნა მიღწეული ის, რაც ექსპედიციის მიზანს შეადგენდა. აფხაზეთის სანაპირო ზოლი (ბომბორა, ბიჭვინთა, გაგრა) რუსები სიმაგრეების აგებას შეუდგნენ. ბომბორაში დაბინავდა „აფხაზეთის ექსპედიციის“ შტაბიცი. ამ სიმაგრეებს ჯიქებისა და უბიხებისათვის უნდა გადაეკეტათ ის სანაპირო გზა, რომლითაც ისინი აფხაზეთში იჭრებოდნენ.

1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა რუსეთის ჯარებმა ქ. ახალციხე აიღეს (1828 წ. 15 აგვისტო) და სამცხე-ჯავახეთის დიდ ნაწილში შემოიერთეს, ადგილობრივი მაჰმადიანები თურქეთში გადასახლდნენ. კავკასიის ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1859-1864 წლებში, დაუმორჩილებელი კავკასიელი მთიელებიც ასევე თურქეთში გაასახლეს. ეს პროცესი ცნობილია მუშაჯირობის სახელით.

1859 წელს, რუსების მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ჩერნეთი, დაღესტნელები და ოსები თურქეთისაკენ დაიძრნენ. შემდეგი გადასახლების პროცესმა მოიცვა დასავლეთ კავკასია, სადაც კულმინაციას

1863-1864 წწ. მიაღწია. დას. კავკასიის ტომები: მრავალრიცხოვანი ადილელები (ჩერქეზები), უბიხები, აბაზები, ყუბანისპირელი ნოღალები, ყარაჩაელები თურქეთში გადასახლდნენ. აღსანიშნავია, რომ ოსები, ყაზარდოელები და ბალყარელები რუსეთის წინააღმდეგ ომში არ მონაწილეობდნენ. რაც შეეხება დას. კავკასიის სხვა ტომებს, ზოგიერთი მათგანი (უბიხები) მთლიანად აიყარა და თურქეთში გადასახლდა.

მუჰაჯირობის პროცესმა აფხაზეთიც მოიცვა. 1867 წელს განხორციელდა მუსლიმ აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება თურქეთში. ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი შეგნებულად აზვიადებს აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობას. როგორც ირკვევა, აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება თურქეთში 1867 წელს მოხდა. მაშინ სამშობლო 20 ათასამდე აფხაზმა დატოვა. აფხაზთა გადასახლების მეთორმეტედი 1877 წელს იყო, როცა თურქეთში დაახლ. 30 ათასი აფხაზი გადასახლდა. მთლიანობაში დაახლოებით 50 000 სული.

1853 წელს რუსეთს ომი გამოუცხადეს ოსმალეთმა და მისმა მოკავშირეებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა და იმდროინდელმა სარდინიის სამეფომ.

იმის გამო, რომ საბრძოლო ოპერაციები ძირითადად რუსეთის სამხრეთ ტერიტორიებზე — ყირიმში მიმდინარებოდა, ამ ომს ყირიმის ომს უწოდებენ. თუმცა, თურქეთმა და მისმა მოკავშირეებმა საბრძოლო ოპერაციები ყირიმის გარდა რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის კავკასიაშიც გააჩაღეს.

ყირიმის ომის (1853-1856) დაწყების წინ კავკასიელ მუსლიმთა ბრძოლა შამილის მეთაურობით უმაღლეს ფაზაში შევიდა. შამილი რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთისა და მისი მოკავშირე ევროპული სახელმწიფოების ბრძოლას შეუერთდა. ერთმორწმუნე თურქებს შამილი ომის დაწყებამდე წინასწარ მოელაპარაკა და 1853 წლის აგვისტოს 15-ათასიანი ჯარით ზაქათალას სიმაგრეთა ხაზის გარღვევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. იმავე დროს ადილელებმაც სცადეს სიმაგრეთა ხაზების გარღვევა და ზუსტად ამ პერიოდში თურქეთმა და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა ომი გამოუცხადეს რუსეთს. კავკასიის ფრონტზე კოალიციურმა ჯარებმა 3 მიმართულებით დაიწყეს შეტევა. ძირითადი ძალები (40 ათასი კაცი) ალექსანდროპოლისაკენ გაემართნენ, ხოლო 20-ათასიანი ჯარი ახალციხეში შევიდა და ბორჯომის ხეობით თბილისისაკენ დაიძრა. ოსმალთა ჯარის მე-3 ნაწილმა ფოთის ნაწილი და ნიკოლოზის სახელობის პორტი აიღო.

1853 წლის 15 ოქტომბერს ღამით თურქთა სამხედრო რაზმი თავს დაესხა გურის საგუშაგოს შეკვეთილთან. მათ ამოწყვეტეს შეკვეთილის გარნიზონი და გურისა შეესივნენ. თურქეთის მიზანს წარმოადგენდა ასევე ახალციხის ხელში ჩაგდება და იქ საფაშოს აღდგენა. ოსმალებმა ახალციხეში მდგომ გარნიზონსაც შეუტყვეს.

14 ნოემბერს ახალციხესთან ბრძოლაში გენერალ ივანე ანდრონიკაშვილმა 5-ათასიანი რაზმით დაამარცხა 4-ჯერ მეტი ოსმალი 20-ათასიანი ჯარი, ხოლო 19 ნოემბერს ბაშკადიკლართან გენერალმა ვასილ ბებუთოვმა ოსმალთა ძირითადი ძალები გაანადგურა. თურქებმა არდაგანისკენ დაიხიეს. რუსებისა და ქართველების ლაშქარს დიდძალი ალაფი



დარჩა. წარუმატებლად დამთავრდა თურქეთის საომარი ოპერაციები ალექსანდროპოლის მიმართულებითაც.

მიუხედავად მარცხისა, თურქები განაგრძობდნენ ახალი ძალების თავმოყრას სამხრეთ საქართველოსა და შავი ზღვის სპირა ქართული ტერიტორიების მისატაცებლად. მათ საზღვაო დესანტები გადმოსხეს ბათუმში, ქობულეთში, ანაკლიასა და სოხუმში. თურქთა მრავალრიცხოვან არმიას სელიმ ფაშა ხელმძღვანელობდა. თურქებმა ოზურგეთი დაიკავეს. ქართულმა მილიციამ მალაქია გურიელის მეთაურობით პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და თურქებს მოსვენებას არ აძლევდა.

საქართველოში თურქთა შემოსევამ მოსახლეობა ფეხზე დააყენა. ისტორიული მტრის წინააღმდეგ ქართველობა უმალ დაირაზმა. დგებოდა მოხალისეთა რაზმები და ფრონტისკენ მიეშურებოდა. ქართველ მოლაშქრეებს სათავეში ედგნენ ნაცადი მხედრები დავით ჯანდიერი, ნიკო ჭავჭავაძე, დავით ვახვახიშვილი, გიორგი ერისთავი, ქაიხოსრო მიქელაძე და სხვები. 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძემ მოგვარე თავადთაგან მთელი ასული შეადგინა და ფიცი დადო, რომ უკანასკნელ გასროლამდე თავდადებით იბრძოლებდა.

1854 წლის მაისში თურქები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. ქართველი მოლაშქრეები რუსულ ჯარს შეუერთდნენ და ანდრონიკაშვილის სარდლობით ერთად შეუტყეს სელიმ ფაშას არმიას. 27 მაისს სოფელ ნიგოეთთან რუსთა და ქართველთა 3 ათას კაციაწმა ლაშქარმა უკუაქცია მონინალმდევის 12 ათასიანი ჯარი, ხოლო 4 ივნისს მდინარე ჩოლოქზე გენერალმა ანდრონიკაშვილმა 13 ათასი კაცი თურქთა 34 ათასიანი არმია გაანადგურა.

19 ივლისს რუსეთის ჯარმა ბაიაზიდი აიღო. ამ დროს შამილის არმიამ შეძლო სიმაგრეთა ხაზის გადმოლახვა და საქართველოში შემოიჭრა. იგი კახეთის სოფელ წინანდლამდეც კი მივიდა, მაგრამ აქ შეაჩერეს და უკუაქციეს. შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახლება ქართველთა ლაშქარმა. 24 ივლისს ქურუქ-დართან ბრძოლაში ოსმალთა 60-ათასიანი არმია დამარცხდა.

თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სარდინიის გაერთიანებულმა ჯარებმა ვერც სხვა მიმართულებით მიაღწიეს წარმატებას. მიუხედავად ამისა, 1854 წლის განმავლობაში აგრძელებდნენ საომარ მოქმედებას ახალ-ახალი სადესანტო ძალებით. ეს დაფანტული საბრძოლო ოპერაციები



ბი მიზნად ისახავდა ყარსის ციხე-სიმაგრეზე რუსთა საიერიშო ძალების შესუსტებას. თურქეთი ვერ ურიგდებოდა საქართველოს ტერიტორიებიდან განდევნას და ცდილობდა დაებრუნებინა ადრე მიტაცებული მიწა-წყალი. ამ მხრივ მას მოკავშირეებიც აქეზებდნენ, რომელთა მიზანდასახულობას შეადგენდა რუსეთისათვის ფეხი ამოუკვეთათ სომხეთსა და საქართველოში.

ყარსის ციხე-სიმაგრის გადასარჩენად კოალიციურმა ძალებმა დაგეგმეს დიდი საბრძოლო ოპერაცია, რომლის განხორციელებას გენერალ ომერ-ფაშას დაეკისრა. საგანგებო მომზადების შემდეგ, ომერ ფაშამ სამხედრო ძალები 1855 წლის სექტემბრის დამდეგს გადმოსხა ბათუმში, სოხუმში და შავი-ზღვისპირა სხვა ნავსადგურებში. ომერ ფაშას გადმოსხმა ქონდა საქართველოს გავლით ყარსამდე ჩაენიდა და ციხის გარნიზონს ალყის გარღვევაში დახმარებოდა. აფხაზეთის ტერიტორიის დაკავების შემდეგ ომერ ფაშას ძირითადი ნაწილები სამეგრელოშიც კენ დაიძრნენ. მდინარე ენგურთან მათ გზა გადაუღობა რუს-ქართველთა შერეულმა ლაშქარმა გენერალ ივანე მუხრან-ბატონის სარდლობით. საუბედუროდ, ბრძოლაში წარმატება თურქსარდალს ხვდა წილად და იგი სამეგრელოში შევიდა.

ომერ ფაშას ეგონა, რომ ქართველებს გადმოიბრებდა და მოთაფლულ წერილებს

სწერდა სამეგრელოს მთავარ ეკატერინე დადიანს. კეთილდღეობასა და ქვეყნის დამოუკიდებლობას აღუთქვამდა. მაგრამ ქართველების მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა თურქ დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევების სიხსლიანი ქრონიკები. ამიტომ იყო, რომ მთელი სამეგრელო ფეხზე დადგა და პარტიზანული ომებით მტერს დიდ ზიანს აყენებდა. სამეგრელოში ხელმოცარულმა ომერ-ფაშამ კურსი ქუთაისისკენ აიღო, მაგრამ ცხენის წყლის გადალახვა ვერ გაბედა, რადგან იქითა ნაპირზე ქართული ლაშქრის განლაგებას ნააწყდა და უკან დაიხია.

დასავლეთ საქართველოში პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა. 1855 წლის 16 ნოემბერს რუსეთის ჯარს, გენერალ ნ. მურავიოვის ხელმძღვანელობით ყარსის თურქული გარნიზონი დანებდა. რუსთა მთავარი მხრებიდან შევიწროებული იმარ-ფაშამ უკან დაიხია. ხოლო 1855 წლის თებერვალს იგი სოხუმზე გავლით, ზღვით ტრაპიზონისაკენ გაიქცა.

ინგლისს, საფრანგეთსა და სარდინიის სამეფოს ავსტრია-პრუსიის და რუსეთის ბალკანეთის დატოვება მოსთხოვა. რუსეთი იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან დაკარგა სტამბულისკენ ნასასვლელები გზები. ამავე დროს ევროპული კოალიციის ფლოტი შავ ზღვაში შემოვიდა, ყირიმში დიდი არმია გადასხა და სევასტოპოლს ალყა შემოარტყა. რუსეთმა ვეღარ შეძლო ასეთი დიდი ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და სევასტოპოლის დაცვა.

მიუხედავად კავკასიის ფრონტზე მიღწეული გამარჯვებებისა ყირიმის ომი რუსეთის მარცხით დასრულდა, რომელიც პარიზის საზავო ხელშეკრულებით გაფორმდა. ევროპულ-თურქული კოალიციის მიერ დამარცხებული რუსეთი იძულებული გახდა დაეთმო ყარსის ციხე, რათა ყირიმის ნახევარკუნძული შეენარჩუნებინა.

რუსეთმა დაკარგა დუნაის შესართავი და ბესარაბია, ჩამოერთვა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლებები. შავ ზღვაზე რუსეთს ციხესიმაგრეები უნდა დაეწერია. შავი ზღვა ყველა გემისათვის ღია ზღვად ცხადდებოდა. სერბია, ვლახეთი და მოლდოვა კოალიციის პეკემონობის ქვეშ მოექცა.

1875 წელს ოსმალეთის მიმართ უღლის გადასაგდებად ბალკანეთში აჯანყება დაიწყო, რომლის ჩასახშობად თურქებმა უსასტიკეს სადამსჯელო ზომებს მიმართეს. ერთმორწმუნე სერბებს რუსეთის იმპერიამ თანადგომის ხელი გაუწოდა და 1877 წლის 24 აპრილს თურქეთს ომი გამოუცხადა. საბრძოლო ოპერაციები გაჩაღდა ბალკანეთის და კავკასია-ანატოლიის ფრონტებზე.

ქართული საზოგადოებრიობა იმის მიუხედავად რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, ამ ომში მის მხარეზე იდგა. ომში ქართველი ხალხი მთელი რაოდენობით მონაწილეობდა ადრე მიტაცებული თავისი სამხრეთ მიწა-წყლის გათავისუფლებას. აჭარის ოძულებით გაამაჰმადიანებული მოსახლეობაც სულითა და გულით დედასამშობლოსაკენ მოისწრაფვოდა. თურქეთში რუსი მიტაცებულ ქართულ პროვინციებში ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაჩაღდა ანტითურქული აჯანყებები.

ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისე მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. რუსეთის ჯარმა ქართველ მოლაშქრეებთან ერთად გადალახა თურქეთის საზღვარი და ბრძოლა მის ტერიტორიაზე გადაიტანა. 1877 წლის 30 აპრილს მათ დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, შემდეგ ქ. არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა ბათუმისკენ ისხნებოდა, მაგრამ კავკასიის არმიის სარდლობამ პირველი რიგის ამოცანად დასახა ყარსის ციხე-სიმაგრის დაკავება და შეტევა ამ მიმართულებით განახორციელა.

ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდან მიმდინარებოდა, ალბულ იქნა მუხაბეტატი და ხუცუბანი. ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან, მაგრამ აქ გამარჯვება თურქებს დარჩათ. თურქეთმა ამავე პერიოდში შავი ზღვით დესანტი გადმოსხა გუდაუთაში და სოხუმს შეუტია. ოქტომის მიდამოებში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. აქ მტერი დაამარცხა გენერალმა ალხაზიშვილმა რუს-ქართველთა ჯარით. თურქებისაგან მან მალე განმინდა აფხაზეთის მთელი ტერიტორია.

1877 წლის 17-18 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარებმა თურქებს გამოსტაცეს ყარსის ციხე-სიმაგრე. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც არსებითად

წყვეტდა ამ ფრონტის ბედ-ილბალს, მით უმეტეს, რომ შეტევა წარმოებდა ერზურუმის მიმართულებითაც.

ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარებოდა. დეკემბერში კავკასიის არმიის ნაწილები შეიჭრნენ შავშეთში, 16 დეკემბერს დაკავებულ იქნა არტანუჯი.

ომის საბოლოო ბედი ბალკანეთის ფრონტმა გადაწყვიტა. პლევენას ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ რუსეთის ჯარებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და საომარი ოპერაციები გააჩაღეს ბულგარეთის ტერიტორიაზე. თურქთა არმიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. რუსეთის არმია კონსტანტინეპოლს მიუახლოვდა. 1877 წლის 3 მარტს მეომარ მხარეთ შორის სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება.

ევროპული სახელმწიფოების ჩარევით სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება საქართველოს საზიანდოდ ზოგიერთი ცვლილებით დაადასტურა ბერლინის საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც 1878 წლის ივნისში შეიკრიბა. 13 ივლისს ხელმოწერილი, ე.წ. „ბერლინის ტრაქტატი“ ევროპულმა სახელმწიფოებმა ომის დროს თურქებისგან გამოხსნილი ტაო-კლარჯეთის ტერიტორიები და რუსეთის მფლობელობაში მხოლოდ ბათუმი, ყარსი, და არდაგანი აღიარეს. მართალია, ოსმალთა მფლობელობისაგან საბოლოოდ გათავისუფლდა აჭარა-ქობულეთის მიწა-წყალი, თუმცა საქართველოს ტერიტორიები დიდი ნაწილი კვლავაც ოსმალთა დარჩა. ზავზე ხელმოწერის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა. თურქეთში მომდევნო წლებში დაიწყო ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა. თურქეთში მომდევნო წლებში დაიწყო ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა. თურქეთში მომდევნო წლებში დაიწყო ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა.

1878 წლის 25 აგვისტოს კავკასიელი მოლაშქრენი ბათუმში შევიდნენ. ბათუმის ნავსადგური რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა დაიკავეს. ეს დღე ბათუმში დიდი ზეიმით აღინიშნა.

ქართული საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა ბათუმში უღელისაგან აჭარის გათავისუფლებას. იაკობ გოგებაშვილი გახ. „დროებაში“ სიხარულით წერდა: „ჩვენი ძეგლი, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მეგრძოლი შავი ზღვისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

ქალაქებისა თუ სოფლების მოსახლეობა არ ზოგავდა სახსრებს, რომ აჭარელ ძმებსა და დასა და სხვა ქალაქებში გროვდებოდა დიდძალი შეწირულობანი. გახარებული ილია ჭავჭავაძე ივრის „ფურცლებიდან მოუწოდებდა ქართველობას: — „აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპით ანდერძს: ძმა მისთვის და შავი დღისთვისაო!“ ამ ნიშნით ჩატარდა თბილისში გათავისუფლებული აჭარის თავაკეთა სტუმრობა. შეხვედრებზე მხურვალე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ორბელიანმა.

მოამზადა ლეჟან ჩანუაშვილი

3 მარტს საქართველოში დედის დღე აღინიშნება, როგორც პირველმა პრაზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა

პირველი პრაზიდენტის გადაწყვეტილება 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა

დედის დღეს 8 მარტი, საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე, უნდა ჩაენახვლებინა, თუმცა დედის დღე ხალკე აღინიშნება



დედა (ნოდარ დუმბაძე)

დედაშენი არის ღმერთი. შენ რომ ზიხარ და უყურებ. ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას ეძახი და ის შვილს გეძახის, ამიტომ შენ გგონია ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? ღრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს, წვიმა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლოვებული, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ წამთ ღმერთისა. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა ინამებდა. ამაშია საქმე!... ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცემევს, თავზე რომ გახურავს, გიღმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კედება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო... აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გარჩენა, კედელთან მიგაყენა, ყური აგინია და თვითონ თუ გითხრა ღმერთი ვარ და მიწამეო, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა? ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა ინამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია?



დედა სხვა... (ოთარ ჭილაძე)



დედა სხვა და ცოლი სხვა, დედა შეიძლება კუზიანი იყოს და გიყვარდეს, სოფლის გიჟივით შარაშარა დანანალებდეს კაბანაშობილი და მაინც გიყვარდეს, რადგან იმის გაჩენილი ხარ, ღმერთმა დაავალა იმას შენი დედობა და ამით თავიდანვე, გაჩენამდე მოგისპო შენ არჩევანის უფლება.

ამიტომ ვერავინ დაგძრახავს მახინჯი, თუ გიჟი დედის გამო, რადგან იმავე ღმერთმა, რომელმაც შენ დედის არჩევის უფლება წაგართვა, სხვებს-თავისთავად, შენი განკითხვის საშუალება მოუსპო.

...ცოლი კი სხვა, ცოლს კაცი ირჩევს და ამ არჩევანში გამორჩდება ხოლმე კაცის გემოვნებაცა და ღირსებაც.

მაგრამ, რაც არ უნდა გემოვნებიანი და ღირსეული იყოს კაცი, მაინც შეიძლება შეეშალოს არჩევანი. ეს უკვე ბედის საქმეა, ბედის კი არა - უბედობის.

...ცოლის მაგიერი შეიძლება იშოვოს კაცმა, — დედისა კი ვერა.

დედის დათმობაც არ შეიძლება, რადგან არ მოიპოვება, არც აირჩევა, არც გაიყოფა, შენიც იმდენია, რამდენიც შენი ძმისა, ორნი კი არა, შეიძლება ათნი იყოთ, დედა კი ერთია და ათივესთვის ერთნაირი.

სამედიკო



სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი რეზაზ (რეზო) ჯიქია და თანაგრძობას უცხადებს მის ჭირისუფალთ.

უფალმა გაანათლოს და აცხონოს სამშობლოს გუმბურვალე პატრიოტის სული.

ღმერთზე განათას დო ოჩონუას რეზო ჯიქიაში შური.

სასწავლო-მედიკალი პრაქტიკაში «დოქტორი» და «გაგანოლი» გულამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სასახურკი

დომენტი გაგანიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კომორდინტაში: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48

მასთან სივრცულზე ხელჩაქეული მილიან და ჯანმრთელობის ბკუნდავანი